აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 52

13 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
რეგისტრაციის შესახებ**

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია, ფონდი ,,სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი" და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე